პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აპრილი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 80 (15293)

ხუთწლედი — ვადამდე!

რიტმი და გეგმა — ყოველდღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასობრივი შეჯიბრებით

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმოში — კერამიკულ კომბინატში (დირექტორი გ. ურუშაძე) დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობას, მის სწორ ორგანიზაციას. ამიტომ არის, რომ კერამიკოსები მუდამ რიტმულად, გამართულად მუშაობენ. აქ ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტლის გეგმა ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით შესრულეს.

მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით 2.000 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 3 ათასი მანეთის კერამიკული ნაწარმი მიიღო.

კომბინატში გაცხოველებით ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის. დაზუსტებული და შედგენილია გეგმა, ვინ რა უნდა გააკეთოს. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 510 კაცი. გამოუშვებენ 7 ათას მანეთის ღირებულების პროდუქციას. ხუთწლედის ფონდში შეირიცხენ 1.200 მანეთს. საწარმოს ეზოს კეთილმოწყობაზე მომუშავენი დარგავენ 200 ბუჩქს და 12 ათას სხვადასხვა ყვავილს, მოაწყობენ სკვერებს.

ზეგეგმითი ტრაქტორები, სათადარიგო ნაწილები

ქუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მოცულობის წლის პირველი კვარტლის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ განკუთვნილი „ტ-16-მჩ“ მარკის 10 მოდერნიზებული ტრაქტორი და „რიონ-2“ მარკის 8 მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, აგრეთვე 8 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ტრაქტორმშენებლებმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს ქუთაისელ ავტომშენებელთა დაკვეთა, გეგმის ზევით გამოუშვეს „ავტომანქანის 209 ცალი საყრდენი და 220 ცალი უნაგირი მოწყობილობა.

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები წელს ჩვეული ენთუზიაზმით შრომობენ. თბილგვირაბმშენის სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის კოლექტივს გაჰყავს ახალი მაგისტრალი საბურთალოს მიმართულებით. პეკინის ქუჩაზე სადგურ „პოლიტექნიკურის“ მშენებლობას აწარმოებენ № 28 შახტის მშენებლები.

სურათზე: გვირაბგამყვანთა მოწინავე ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ვ. გოგუაძე, ე. თევდორაშვილი, ვ. ცაბაძე, გ. კობერიძე, პ. გულიაშვილი, ტ. ჭკარიძე, ზ. ქემოკლიძე, ე. ლიბრაძე.

ვ. ბენბეშვილის ფოტო.

ველოსიპედისტები განაღდებულია

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს 1972 წლის პირველი კვარტალის დავალება, გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

— კვარტალის ბოლომდე, — აცნობა რედაქციას საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსის მოადგილემ ლ. რატბინმა,— ტყიბულის სტალინის სახელობის შახტმა გეგმის გადამეტებით ამოიღო 7 ათასი ტონა ხათბობი, ორჯონიკიძის სახელობის შახტმა — 6 ათასი ტონა; ამ მოწინავე შახტების კოლექტივებმა შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით შესაბამისად 13 და 6 პროცენტით აამაღლეს.

ქვანახშირის კომბინატის კოლექტივები განაგრძობენ სოციალისტურ შეჯიბრებას წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. აქედანვე ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს.

გარაჟიანი თევზჭერა

ბათუმი. (საკ. კორ.). თავდადებით შრომობენ ბათუმის კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ მებადურები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მარტის პირველ ნახევარში 104,5 პროცენტით შეასრულეს პირველი კვარტლის გეგმა. შრომითს ვახტზე მდგომი ხეინერებიდან განსაკუთრებით დაწინაურდა „სჩს-112“ ხეინერის ბრიგადა, რომელსაც კაპიტანი ვ. რადმევსკი და ბრიგადირი ხ. ჩურგუბა ხელმძღვანელობენ, მათ კვარტლის დავალება 130 პროცენტით შეასრულეს და დროს მთელი თვით უსწრებენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სინგჰი

4 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სინგჰი.

შეხვედრის დროს, რომელიც შეგობრულ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები. აღინიშნა, კერძოდ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც 1971 წელს დაიდო, თვისებრივად ახალი ეტაპია საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობაში და მისი განვითარების კიდევ უფრო ხელშემწყობ პერსპექტივებს ქმნის.

შეხვედრის დროს განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ინდოჩინის ნახევარკუნძულის მდგომარეობას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი ტ. ნ. კაული და ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში კ. შ. შელვანკარი.

მათ თავი ისახელეს

სსრკ 50

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად

ხერსონელები — გორში

რამდენიმე დღეს გორის საკონსერვო ქარხანაში სტუმრად იყო ხერსონის 8 მარტის სახელობის საკონსერვო ქარხნის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა მისი დირექტორი ა. კოვალენკო.

15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საუკეთესო ჩაიყარა გორელ და ხერსონელ მეკონსერვეთა მეგობრობას. ამ ხნის მანძილზე მათ ერთმანეთისაგან გადაიღეს ბევრი საიანლე, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. სტუმრებმა მასპინძლებმა შეაჯამეს ხუთწლედის პირველი წლის ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გაიმარჯვეს გორელებმა.

ახალი ხელშეკრულება 1972 წლის შეჯიბრების შესახებ დადეს არა მარტო ორი მონათესავე საწარმოს კოლექტივებმა, არამედ ცალკეულმა ბრიგადებმაც. მაგალითად, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრის თ. მაჭარაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ხერსონის ქარხნის საფაბრიკატო საამქროს პ. ივანოვას ბრიგადა.

უკრაინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს გორის ღინსშესანშნაობანი, გაეცნენ ქალაქის „საწარმოებსა და დაწესებულებებს, გამოიკითხეს, თუ როგორ ცხოვრობენ წარმოების მუშაკები. ხერსონელებმა გადაწყვეტეს გორელ მეკონსერვეთა მაგალითით თავიანთ ქარხანაში დაამონტაჟონ მინის ტარის კალათური მიწოდება საამქროებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შრომის პირობებს.

ხერსონის 8 მარტის საზელობის საკონსერვო ქარხნის დელეგაციამ შადლობა გადაუხადა გორელებს ფულითადი გადაუხდელობისათვის. (საქინფორმი).

შეხვედრა სამხრეთ ოსეთის თეატრალურ ხელოვნებასთან

4 აპრილს თბილისში დაიწყო ცხინვალის გ. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. წლევანდელი გასტროლები, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიადი ღღესასწაულის და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ზღურბლზე ეწყობა, დიდ ინტერესს იწვევს. თბილისელების წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან თეატრის ოსური და ქართული დასები.

თბილისელებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს სტუმრების ხელოვნებისადმი. მრავალი მაყურებელი შეიკრიბა მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის დარბაზში, სადაც რვა დღის განმავლობაში გამართავენ სპექტაკლებს სტუმრები. სპექტაკლის დაწყებამდე ავანსცენაზე გამოვიდნენ თბილისელი და ცხინვალელი მსახიობები. სამხრეთ ოსეთის ხელოვნების მოღვაწეებს გულთბილად მიეფოფინა თბილისში გასტროლების დაწყება საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა, ტ. შვაჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატმა ფ. ალექსიძემ. მან თქვა, რომ ცხინვალელ მსახიობთა თავისთავად ხელოვნებასთან ყოველი ახალი შეხვედრა სიხარულს გვრის თეატრის ჭეშმარიტ დამფასებლებს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ცხინვალის დრამატული თეატრის დირექტორმა შ. მელდარეშვმა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს თეატრალურ მოღვაწეებს, ყველა დამსწრეს გულთბილი, გულითადი მასპინძლობისათვის. ჩვენ, თქვა მან, გესტუმრეთ სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის წინ და საქართველოს დედაქალაქში ჩვენს გასტროლებს ამ დიდ ღღესასწაულს ვუძღვნით.

პირველ ღღეს თეატრის ოსურმა დასმა მაყურებელს უჩვენა ნ. სალამოვის დრამა „სარმათი და მისი შვილები“. პიესა მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე, ოსი ხალხის ბრძოლაზე თავის მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

სპექტაკლი დადგა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ხუგაევმა, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ტ. გაგლოევემა, მუსიკა ეკუთვნის ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. გაბარაევს.

მეზობლებრივ რეჟოლუციონერის ს. ორჯონიკიძის როლს ასრულებს საქართველოს სსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. ტაუგაზოვი. მაყურებლებმა ტაშით დაჯილდოვეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. ჩაბიევა და დ. მამიევი, დამსახურებული არტისტები ბ. ცხოვრებოვი და ს. მარგიევი, მსახიობები, რ. ალგაევი, გ. ბეგოევი, ა. თედეევი, ფ. ხარებოვი, რ. გასიევა, ე. გუგაევა და სხვები.

თბილისელები გულთბილად შეხვდნენ ცხინვალელ მსახიობთა პირველ გამოსვლას.

სპექტაკლს დაესწრნენ ჩ. ა. ნოზიკაშვილი, ი. ი. ლოლაშვილი, ვ. ა. მუსვანაძე, ა. ნ. ჩურკინი, შ. ი. ჭანუყვაძე, ბ. ს. ძოწენიძე, ბ. დ. ჯაბახიშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ა. ჯიოევი. (საქინფორმი).

ქართლ-სამხრეთ-ოსეთის სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დღეები სოფლად

მთაშიც მოვიდა გაზაფხული

თიანეთი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში ტრაქტორები აგუგუნდნენ. ხვნა პირველმა დაიწყო ერწოს საბჭოთა მეურნეობამ, მას მიჰყვნენ ჩიკურაანთგორის, ეორანის, ყვიბტის კოლმეურნეობების მექანიზატორები, ამ სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარებისათვის მათ დროზე შეაკეთეს იარაღ-მანქანები, მოიმარაგეს საწვავ-საცხები მასალები.

თიანეთელ მხვნელ-მთესველთა გადაწყვეტილებაა სასახლეო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიად ღღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. სოციალისტური ვალდებულებით მათ აგროვადების დაცვით საგაზაფხულოდ უნდა მოხნან და დათესონ 3.500 ჰექტარზე, რისთვისაც ფართოდ გამოიყენებენ მანქანებს, გაზრდიან მოსავლიანობას, შექმნიან მეცხოველეობისათვის საჭირო საკვებ ბაზას.

ღილოდან გვიან საღამომდე არ წყდება მანქანების გუგუნი, გარდა საგაზაფხულო ხვნისა, კოლმეურნეობებში მიმდინარეობს კარტოფილის, ხახვის, ჭარხლისა და სხვა კულტურების თესვა, ხეხილის სხვლა.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კარგად მოემზადნენ ზარიძეების კოლმეურნეობაში, თავის დროზე შეაკეთეს ცხრა ტრაქტორი, კარტოფილის სარგავი მანქანები, კულტივატორები, სათესები, საკმარისი რაოდენობით მოიმარაგეს მაღალსარისხოვანი თესლი.

ა. თომაძე.

ჩაის გუჩქეგის გასხვლა

ზახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. დღეისათვის პირველობას არავის უთმობს კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც თ. კვარაცხელია ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ყველაზე ადრე უპატაკა ჩაის ბუჩქების გასხვლის სამუშაოთა დამთავრება. კოლმეურნეობაში ამჟამად პირველი რიგის სამუშაო — ჩაის ბუჩქების შპალერული გასხვლა დამთავრებულია 185 ჰექტარზე.

ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო დამუშავებაში თავი გამოიჩინეს მოწინავე მეჩაიეებმა ნ. შეწირულმა, ნ. მურუსიძემ, ი. თავდიშვილმა, რომლებმაც უკვე დაამთავრეს ბუჩქების გასხვლა.

გურიანთელი მეჩაიეები მამაცურად შრომობენ და საფუძველს უყრიან მიმდინარე წელს ჩაის უხვ მოსავალს.

ბ. ჩხაიძე.

ხორციელდება საწარმოთა მართვის ავტომატიზაცია

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობაში მართვის საკითხების საუწყებათშორისო საბჭომ განიხილა რესპუბლიკის მრეწველობის როგორც მთელი დარგების, ისე ცალკეული საწარმოო ორგანიზაციების მუშაობის დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისა და დანერგვის ამოცანები.

მიმდინარე წელს საბჭოს მუშაობის გეგმაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. მიქელაძემ. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსათვის მართვის დარგობრივი ავტომატიზებული სისტემის შემუშავების მიმდინარეობასა და ხუთწლედის განმავლობაში ამ მიმართულებით სამუშაოთა გეგმებზე ილაპარაკა მშენებლობის სამინისტროს საინფორმაციო-გამთვლელი ცენტრის დირექტორმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ჯლამაძემ. საქართველოს სსრ მშენებლობის კროფილის სამინისტროებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის საკითხთა მერეარი ორგანიზაციის გამოყოფის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების გამგემ ი. ლორთქიფანიძემ. ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების საერთო-სახელმწიფოებრივი ავტომატიზებული სისტემის რესპუბლიკური რგოლის ინფორმაციული ნაკადების გეგლის უზრუნველყოფისათვის ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის განვითარების დარგში საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს გეგმებსა და მონაცემების გადაცემის რესპუბლიკური სისტემის შექმნის სამუშაოთა გეგმაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა პ. ძაბურანაძემ.

საბჭოს სხდომებში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხპაია. (საქინფორმი).

ქაპიტალური მშენებლობა — სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

ამხანაგ პ. ნ. ჩურკინის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

საბჭოთა ხალხის მთელი საქმიანობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვა მომხსენებელმა, ახლა მიზნად ისახავს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებას, რომელებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა ქვეყნის წარმატებით წინსვლისათვის კომუნიზმის გზით, მისი ძლიერების განუხრელი განმტკიცებისათვის, მსოფლიოში მისი პოლიტიკური და მორალური ავტორიტეტის შემდგომი ამაღლებისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ასახავს ახალ დიდმნიშვნელოვან მიჯნებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ზრდაში. 1971 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მთელმა საბჭოთა ხალხმა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი აღიქვა როგორც თავისი ღვიძლი საქმე და გმირული შრომით უპასუხა მათ.

ჩვენი ეკონომიკა წარმატებით მიდწევს წინ. როგორც ცნობილია, ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების მატერიალური, და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების, ძირითადი ფონდების უფრო სრულად გამოყენებისა და კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების საფუძველზე.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მშენებლობას, გამუდმივით ეძიებენ მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების გზებს. და ეს კარნახობდეს ამიტომ, რომ მშენებლობა ეხება მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს, დიდ გავლენას ახდენს კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურის აყვავებაზე ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალურ მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულია პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური ხელახალი შეიარაღების პროცესი.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა კაპიტალურ მშენებლობას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ ბოლო დროს მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი. მათ შორის კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, სრულყოფის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის გაუმჯობესების. სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განმტკიცების შესახებ.

საბჭოთა კავშირი ახლა მატერიალური წარმოების სფეროში აშენებს მეტს, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანა. სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის ყოველწლიურად იხარჯება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით მეხუთედი, წარსულ ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენდა 352 მილიარდ მანეთს.

ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართველ მშენებლებს. საკმარისია თქვას, რომ მშენებლობის მოცულობა რესპუბლიკაში ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ორად იზრდება.

გასულ ხუთწლედში სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში დაბანდებული იყო ხუთ მილიარდამდე მანეთი, რაც კაპიტალური დაბანდებების თითქმის მესამედს შეადგენს საბჭოთა საქართველოს 50 წლის მანძილზე.

აიგო და მთლიანად რეკონსტრუირებულია 280-ზე მეტი სამრეწველო-საწარმო და საამქრო. უფრო სწრაფი ტემპით ხორკლეულდა სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და ხორც-რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაცემულია წისქვილ-კომბინატები სოხუმსა და ქუთაისში, ელევატორები წნორსა და წითელწყაროში, 7 ღვინის ქარხანა, 4 სამკერვალო ფაბრიკა, ბევრი მეცხოველეობის სადგომი და სხვა.

დიდი სამუშაოებია შესრულებული მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რის შედეგად ხუთწლედის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცეულია 45 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწა და 34 ათასი ჰექტარი გაწყლიერებული საძოვრები.

ხუთწლედის განმავლობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით საექსპლოატაციოდ გადაცემულია საცხოვრებელი სახლები, რომელიც საერთო ფართობი 8 მილიონ 784 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, საბავშვო ბაღები და ბაგები 33 ათასი ბავშვისათვის, სკოლები 153 ათასი მოსწავლისათვის, აგებულია 14 საავადმყოფო.

მწყობრში ჩადგა მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი რიგი შენობები და ნაგებობანი. დიდი სახსრებია ათვისებული კომუნალური მეურნეობის ხაზით. გაყვანილია და ამუშავდა მრავალი კილომეტრი წყალსადენისა და კანალიზაციის მაგისტრალი. გაყვანილია 400 კილომეტრზე მეტი მაგარსაფარიანი გზები.

რესპუბლიკის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელსაც მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები განაბორციელეს. გადაცემულია საექსპლოატაციოდ საწარმოო სიმძლავრენი თბილისსა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებში, თბილისის მართვისა და გამოსათვლელი მანქანების ქარხანაში, ინგაურის კომპლექსის ჰიდროელექტროსადგურების ახალი აგრეგატები. მოქმედთა მწყობრში ჩადგა მსუბუქი, კვებისა და ხორც-რძის მრეწველობის ბევრი დიდი საწარმო. დაწესებულ ვადაზე ადრე დამთავრდა გურჯაან-თელავის, გორ-ცხინვალის მაგისტრალური გაზსადენების, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეშვიდე ენერგობლოკის, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნისა და სხვათა აგების სამუშაოები.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს „თბილისგვირაბმშენის“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამონტაჟო ორგანიზაციების, ადგილობრივი პარტიული ორგანოების კოლექტივებმა, რათა ვადამდე გადაეცათ საექსპლოატაციოდ გორისა და კოდის მეფრინველეობის დიდი ფაბრიკები.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხაზით საექსპლოატაციოდ გადაცემულია 473 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, სკოლები 28 ათასი მოსწავლისათვის, პროფტექნიკური სასწავლებლები 2.000 მოსწავლისათვის.

ნახევარი საუკუნის იუბილეს ზეიმის წინ საქართველოს მშრომელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქრები — მწყობრში ჩადგა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, აეროვაგზლის ახალი შენობა თბილისში, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები „ისანი“ და „სამგორი“, თბილისის აეროპორტის ავტოსტრადის პირველი რიგი და სხვა საიუბილეო ობიექტები.

უკანასკნელი წლების მანძილზე მშენებლობაში მოხდა არა მარტო დიდი რიცხობრივი, არამედ აგრეთვე სერიოზული თვისებრივი ცვლილებები. რესპუბლიკის მშენებლებმა უფრო ფართოდ იწყეს ავტომატიკის, რთული კონსტრუქციების გამოყენება, მაღლდება მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე, მუშაობს დიდი გამოთვლითი ცენტრი. მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვილობა. დიდი სამშენებლო მანქანების პარკი 1,5-ჯერ გადიდდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია გარკვეული წარმატებანი, განაგრძობს ამბ. ჩურკინი, საქმის მდგომარეობა კაპიტალურ მშენებლობაში მთლიანად რესპუბლიკაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. როგორც ზრდის ტემპით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით მშენებლობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ დაგვისახა.

ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დავალებანი ფაქტიურად არ შესრულებულა გასული ხუთწლედის არც ერთ წელს. არის დიდი ჩამორჩენა გასული წელს და მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, აგრეთვე დიდ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყვეტოთ ახალ ხუთწლედში, კაპიტალური მშენებლობის დარგში, თქვა მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საპიროდ ცნო ამ პლენუმზე ყოველმხრივ განეხილა და კრიტიკულად შეეფასებინა რესპუბლიკის მშენებლობებზე გაწეული მუშაობა, ღრმად გაეანალიზებინა საქმის მდგომარეობა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში, გამოევლინებინა არსებული ნაკლოვანებანი, დაესახა და განეხორციელებინა ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთწლიანი გეგმის უთუო შესრულებას, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, კაპიტალური მშენებლობის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მნიშვნელოვან ამაღლებას.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საქართველოში მეცხრე ხუთწლედის მანძილზე, წინა ხუთწლედთან შედარებით, უნდა გაიზარდოს 43 პროცენტით. ამ პერიოდში უნდა ამოქმედდეს ვარკიხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველი ელექტროსადგური. უკვე დაიწყო ენგურის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგება, დამთავრდება მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ამუშავდება ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა. გაიზრდება ქიმიური, სამთბობის, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამძლავრენი.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის წინაშე. უნდა შესრულდეს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები 1975 წელს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეთა ამოქმედების შესახებ. ამისათვის უკვე მომდინარე წელს ძალიან უნდა დაეჩქაროთ სამუშაოთა ტემპი.

კაპიტალდაბანდებათა განსაკუთრებით დიდი ზრდა დასახულია სოფლის მეურნეობის ხაზით, სადაც უნდა ავითვისოთ თითქმის 1,5 მილიარდი მანეთი ანუ 80 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ ხუთწლედში. დამთავრდება კიდევ ორი მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა ბაგრასა და ფოთში, ხორცისა და კვერცხის მწარმოებელი ეკვნი ახალი ფაბრიკის, მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობა. საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული 70 ათასი ჰექტარი სარწყავი და 50 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა. ძირითადად დამთავრდება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის სამუშაოები.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს გაალამაზებენ ახალი საცხოვრებელი სახლების უბნები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, თბილისს მოსახლეობა მიიღებს მეტროპოლიტენის ოთხ ახალ სადგურს სპორთალოს ტრასაზე.

კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით უნდა განვავითაროთ საშენ მასალათა მრეწველობა. რომელიც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

* მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

კაპიტალური მშენებლობა — სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

(დასასრული)

კაპიტალურ სამუშაოთა უდიდესი მოცულობა მოითხოვს არა მარტო დიდძალი სახსრების დაბანდებას, არამედ მათს საკმაოდ სწრაფ უკუგებას. ეს კი მთელი სიმწვავით სვამს დღის წესრიგში „კაპიტალური მშენებლობის მთელი საქმის შემდგომი სრულყოფის, ყველა იმ ნაკლოვანების რაც შეიძლება მაღე აღმოიფხვრის საკითხებს, რომლებიც აფერხებდნენ და შეიძლება ახლაც შეაფერხონ სამუშაოთა ტემპი და ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან შეისწავლა ბევრი საკითხი და შეიმუშავა კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი ასახა მთელ რიგ დადგენილებებში, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს რესპუბლიკაში სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის შედგომარეობისა და შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, ქალაქ თბილისში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, საოფლო-სამეურნეო ობიექტების შდგომარეობისა და დაპროექტების და მშენებლობის გაუმჯობესების, საოფლო სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, მიწვნის მელიორაციის შემდგომი განვითარებისა და მათი სასოფლო-სამეურნეო თვისების შესახებ, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციების შდგომარეობისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებათა მთლიანად და დროულად განხორციელებამ უნდა გადაჭრას მშენებლობის პრობლემა მიმდინარე ხუთწლედში.

კაპიტალური მშენებლობის შეუფასების მთავარი საზომია ძირითადი ფონდების ამოქმედება. მთლიანად რესპუბლიკაში გასული ხუთწლედის მანძილზე ძირითადი ფონდების ამოქმედების წლიური დაკალები დიდი ჩამორჩენით სრულდებოდა. ახალი ხუთწლედის პირველ წელსა და მიმდინარე წლის ორ თვეში მშენებლებმა აგრეთვე ვერ შეასრულეს ეს მაჩვენებელი.

ჩამორჩენისათვის პასუხისმგებლობა მეტწილად ეკისრება ყველაზე მსხვილ გენერალურ მოიჯარადრეს — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსა და მის ტრესტებს. ძირითადი ფონდების ამოქმედების, საბინაო მშენებლობისა და სხვა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის მათი მუშაობის შედეგები კვლავ ბოდიშაკმაყოფილებელია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დეკემბერში განიხილა მშენებლობის სამინისტროს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების საკითხი. ამასთან გაიმართა ცხარე სადაო საუბარი და ამხანაგები მკაცრად გააფრთხილეს შრომის მეტად დაბალი ორგანიზაციისა და მშენებლობებზე ცუდი საწარმოო დისციპლინისათვის, საკუთარი საწარმოო ბაზების განვითარების ნელი ტემპისა და კადრებთან სუსტი მუშაობისათვის.

მშენებლობის სამინისტროს გარდა. რესპუბლიკაში არის მთელი რიგი საიჯარო და სუბსაიჯარო ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებენ. მათ შორის ბევრია ისეთიც, რომლებიც ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას.

კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენის ყველაზე არსებითი მიზეზია ძალების, სახსრებისა და ტექნიკის დაქსაქსვა მრავალრიცხოვან მშენებლობებზე. ამის შედეგად წლითიწლობით იზრდება დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობა, მრავალი საწარმო ობიექტი ნორმატიულ ვადებზე ბევრად დიდხანს შენდება.

კაპიტალური მშენებლობის დონის ასამაღლებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გადაეწყვიტოთ მისი კონცენტრაციის პრობლემა, კატეგორიულად აკრძალოთ რესურსების დაქსაქსვა მრავალი წლის მანძილზე და ბევრ მშენებლობაზე.

კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ბევრი შემკვეთის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მისადმი. კაპიტალური მშენებლობა — ეს არის ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული პროცესების კომპლექსი. თვითეული ობიექტის მშენებლობას საფუძვლად უდევს პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, დაფინანსების, ტერიტორიის გათავისუფლების, მომარაგების საკითხები, ხოლო ყოველივე ეს შედის შეკვეთების, დამპროექტებლების, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების კომპეტენციაში და სამშენებლოს ფუნქციებში. სამწუხაროდ, ყველა ეს ორგანიზაცია დაქსაქსულად მუშაობს, ამასთან თვითეული მათგანის წარმომადგენელი ამა თუ იმ თათბირზე გამოდის ხოლმე „როგორც ბრალმდებელი. ამავე დროს, რატომღაც, ძალიან იშვიათად ლაპარაკობენ ისინი თავიანთ ბრალზე, ვერ ხედავენ საკუთარ ნაკლოვანებებს და არ ახორციელებენ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი ფაქტი, როცა შემკვეთთა ფუნქციები შემოიფარგლება მხოლოდ ზრუნვით გეგმაში ობიექტების შეტანისათვის, შემდგომში კი — მხოლოდ ჩივილით, რომ დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს მშენებლობა.

ამს. ჩურკინი შემდეგ შეეხო სოფლად მშენებლობის საკითხებს.

1971 წლის პროგრამა რესპუბლიკის სასოფლო-სამშენებლო და წყალსამეურნეო ორგანიზაციებმა ძირითადად წარმატებით შეასრულეს. მაგრამ სოფლის მეურნეობის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის მიღწეული დონე, აგრეთვე სასოფლო-სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარება ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მზარდ მოთხოვნებს, რომლებსაც ეუფლებიან კაპიტალურ მშენებლობას სოფლად.

ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით სასოფლო მშენებლობის გეგმები ვერ სრულდება და ამის ძირითადი მიზეზები ის არის, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს ზოგიერთი საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია, მთელ რიგ ობიექტებს დროულად არ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური მოწყობილობით, სამშენებლო მასალებითა და ნაწარმით, ჯერ კიდევ დაბალია რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად მუშაობს რესპუბლიკაში სასოფლო და წყალსამეურნეო მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებზე. ამ ბოლო ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს დაწვრილებითი ღონისძიებანი და მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის დაპროექტების მდგომარეობისა და გაუმჯობესების „ სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, დასახულია იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც არის სოფლის მეურნეობის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში, დამტკიცებულია სასოფლო მშენებლობისათვის სამშენებლო ინდუსტრიის ახალ საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა გაფართოების ხუთწლიანი პროგრამა. მიღებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის, კოლხეთის დაბლობის გადამეტტენიანებული მიწების ამოშრობის შესახებ და სხვ.

ამჟამად მთელ ქვეყანაში დიდი გაქანებით ხორციელდება საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობა. იგი უკვლგან და წარმატებით ვითარდება. მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. უწინარეს ყოვლისა ბევრი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ჩამბული ან არის საკოლმეურნეობათშორისო საშენებლო ორგანიზაციებში. სერიოზული ნაკლოვანებანია თვით სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობაში. ზოგიერთი მათგანი სისტემატურად ვერ ასრულებს სამუშაოთა გეგმებს.

რესპუბლიკის სასოფლო და წყალსამეურნეო სამშენებლო ორგანიზაციათა მაგალითით, შეიქმნა საწარმოო-სამშენებლო „გაერთიანება „მთავართბილმშენი“. მის შემადგენლობაში მევიდნენ დიდძლოკიანი, კარკასულ-პანელიანი და დიდპანელიანი სახლთმშენებლის სპეციალიზებული ტრესტები. ახალ ორგანიზაციას გადაეცა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნები, ხისდამშავებელი და სამრეწველო საწარმოების კომბინატები, აგრეთვე მთელი რიგი მექანიზაციის სამმართველოები.

ამ დადგენილებით დასახულია საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კონკრეტული პროგრამა. არსებული სახლთსაშენებელი საწარმოების რეკონსტრუქციის გზით მათი სიმძლავრე მიმდინარე წლის დამლევისასთვის უნდა გაიზარდოს 300-დან 550 ათას კვადრატულ მეტრამდე, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის — 850 ათას კვადრატულ მეტრამდე. მიმდინარე წელს თბილისში გათვალისწინებულია დაიწყოს 300 ათასი კვადრატული მეტრი სიმძლავრის ახალი სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებლობა, უნდა ავითვისოთ სრული საქარხნო მზაობის სანტექნიკური კაბინებისა და ლიფტების შახტების მოცულობითი ელემენტების დამზადება. გაიშლება მოცულობით-ბლოკიანი სახლების მშენებლობა.

საწარმოო ხასიათის ღონისძიებათა გარდა მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს გეგმიანობა „მთავართბილმშენის“ კოლექტივის საყოფაცხოვრებო პირობები. საქართველოს დედაქალაქში გათვალისწინებულია აშენდეს 120-150 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის მშენებელთა ქალაქი. აქ განლაგდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სპორტულ-გამაჯანსაღებელი შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი.

უნდა მოველოდეთ, თქვა მომხსენებელმა, სათანადო შედეგებს განხორციელებული ღონისძიებებისაგან, 1972 წელს და ხუთწლედის მომდევნო წლებში როგორც თბილისში, ისე მთლიანად რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის პროგრამის უთუოდ შესრულებას.

პარტიის სოფლებ, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველდღიურად და აქტიურად უნდა ეროდნენ საბინაო მშენებლობაში, ღრმად სწავდებოდნენ, თვითეული მშენებლობის საჭიროებებს, ოპერატიულად ეხმარებოდნენ დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებაში. საზოგადოებრივი გაქანება საჭიროდა ახლა საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელებას. ყოველი მომავალი ‘ ახალმოსახლე, განსაკუთრებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატიების წევრები მზად არიან თავიანთი კოლექტიური შრომითი წვლილი შეიტანონ საცხოვრებელი სახლის შექმნაში. საერთო ძალებით შეიძლებთ უფრო სწრაფად და უფრო წარმატებით შეეასებინოთ „ კარგად ნაშენი და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა.

კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე არიან დამპროექტებლები. კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მასშტაბი ვერ განხორციელდება წარმატებით, თუ მათ დღენიადაგ არ იბრძოლეს დაპროექტების ხარისხის გაუმჯობესებისა და ვადების შემცირებისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

უკანასკნელ წლების მანძილზე გვაქვს მაღალ ტექნიკურ დონეზე ცალკეულ ნაგებობათა დაპროექტების ბევრი მაგალითი. სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ ახალ კონსტრუქციებს, დიდმარეოვანლარ მოწყობილობას, ნელფეულის კომპლექსურ გადამუშავებას. მაგრამ მიღწეული წარმატებანი ვერ მიჩქმალავენ არსებულ ნაკლოვანებებს სპროექტო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

არცთუ იშვიათად ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება ხდება დიდი დაგვიანებით, ზშირად მას გადააკეთებენ ხოლმე მშენებლობის დროს, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას. სპროექტო ინსტიტუტები ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას როდი უთმობენ ეკონომიკის საკითხებს, ახალი ტექნიკის, ეფექტიანი კონსტრუქციებისა და მასალების დანერგვას.

საცხოვრებელი სახლების მოქმედი ტიპობრივი პროექტები ყოველთვის როდი შეესაბამება თანამედროვე არქიტექტურულ დაგეგმარებითს მოთხოვნებს, ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

რესპუბლიკის სახმშენსა და თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს წინადადება მიეცით მოკლე ვადით დაამთავრონ დიდსართულიანი და კარკასულ-პანელიანი შენობების ტიპობრივი პროექტების ახალი სერიების შემუშავება, მოცულობით-ბლოკიანი ელემენტებისაგან საცხოვრებელი სახლის პროექტის შედგენა, გადაამუშაონ სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბიგუების არსებული პროექტები მთლიანასაყოფნი მშენებლობის გათვალისწინებით. ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება მალე შემოვიღოთ ისინი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა მიმდინარე წლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფაში.

ძალიან ხშირად ვხედავთ ისეთ ფაქტებსაც, როცა სწორად არ განაზღვრავენ დაპროექტებული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, რის შედეგადაც მეცირდება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა. საპროექტო ინსტიტუტების ხელმძღვანელები, შემკვეთები ჯერ კიდევ სუსტად უზრუნველყოფენ საავტორო ზედამხედველობასა და კონსულტაციებს მშენებლობის ადგილზე. ეს ნაკლოვანებანი ადასტურებენ, ეუნდა მოვაგვაროთ საქალაქო და რაიონული დაგეგმარების პროექტების შემუშავებაც.

საკითხავია, როგორ შეიძლება ეაშენოთ გენერალური გეგმების გარეშე? ის, რაც ახლა შენდება, ნომ უნდა მოემსახუროს ადამიანებს, საუკეთესო მანძილზე? ფაქტიურად კი ჩვენ ჯერ კიდევ სტიქიურად ვაშენებთ და არ ვითვალისწინებთ არავითარ პერსპექტივას.

ამჟამად საცხოვრებელი სახლები სოფლად ძირითადად ისე შენდება, ვისაც როგორ მოესურვება. საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინიციატივით შემუშავებული ტიპობრივი პროექტების სერია სოფლად ფიზიდელფაღარი საბინაო მშენებლობისათვის. მაგრამ ამ პროექტებით საცხოვრებელი სახლები ჯერ კიდევ ეშვიათად შენდება. სოფლის მცხოვრებლებმა არ იციან, რომ არსებობს ასეთი პროექტები, ამასთან ყველა როდი ერკვევა საპროექტო დოკუმენტაციაში. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ კარგი ტიპობრივი პროექტების გამოყენება სოფლად აამაღლებს სოფლის მცხოვრებთა კულტურასა და ყოფა-ცხოვრების დონეს, და მიზნშეწონილად მიგვაჩნია ყველა რაიონში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ მშენებლებს ტიპობრივი პროექტებით რამდენიმე საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში. საგანია, რომ მცხოვრებლებმა თავიანთი თვალით ნახონ ისინი და მაშინ აქტიურად მიბაძავენ ამ მაგალითებს. მოხერხებული და ლამაზი სახლები შეცვლიან ყველა იმ სახლს, რომლებიც დღეს ასე უკონტროლოდ შენდება რესპუბლიკის ყველა რაიონში.

არქიტექტორებმა განსაკუთრებით უნდა იზრუნონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების გარეგნული სახისათვის, ბინების დაგეგმარების გაუმჯობესებისათვის, მათი კეთილმოწყობისათვის, არქიტექტურის მხატვრულ-იდეოლოგიური მნიშვნელობის, მისი ესთეტიკური ღირებულების ამაღლებისათვის.

სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარების მდგომარეობა და ტემპი, თქვა მომხსენებელმა, ჯერ კიდევ ჩამორჩება მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებებს. ასეთი მდგომარეობის მიზეზია ის, რომ სისტემატურად ვერ სრულდება ახალი საწარმოების, სამქროების, ქარხნების ამოქმედების გეგმები, ნაელბად იყენებენ არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს. ნელა მიმდინარეობს მოწყობილობის განაზღვება და მშენებლტრესის მთელი რიგი საწარმოების რეკონსტრუქცია. ცუდად იყენებენ არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს.

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ნაელებად მიაპყრობენ კომუნისტთა ყურადღებას იმას, რომ საჭიროა წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გაუხარელი გადიდება, ნაწარმის ხარისხისადმი კონტროლი.

სკკპ XXIV ყრილობამ მოითხოვა 36-40 პროცენტით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობისა და მშენებლობაში, ეს იგი პრაქტიკულად უზრუნველყოთ მშენებლობის მოცულობის ზრდა ახლანდელ ხუთწლედში მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად. თვითეული ხელმძღვანელი ყოველდღიურად და სერიოზულად უნდა მუშაობდეს ახალი ტექნიკის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის საკითხებზე.

უკანასკნელ წლებში მიღწეულია კომპლექსური მექანიზაციის დონის ერთგვარი ამაღლება. მაგრამ მასობრივ და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გეგმა მთლიანად რესპუბლიკის ყველა სამშენებლო ორგანიზაციაში წლიდან წლამდე ვერ სრულდება. ძალიან ბევრი სამუშაო, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ხელით სრულდება, ტექნიკას საკმაოდ ეფექტიანად არ იყენებენ.

თვითეული მშენებლობის კოლექტივის მოვალეობაა მთლიანად გამოიყენოს მძლავრი ტექნიკა, არც ერთ წუთს არ მოაცდინოს მანქანები და მექანიზმები.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარება დიდად არის დამოკიდებული მშენებლობის ორგანიზაციაზე. ტრესტების ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ მშენებლობის ორგანიზაციისა და მპრთვის ეაუმჯობესებისათვის, იბრძოდნენ იმისათვის, რომ დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებდნენ მშენებლებთა მცირე რიცხვით. ყოველნაირად უნდა დავნერგოთ ქსელური დაგეგმვის მეთოდები, მართვის ავტომატიზებული სისტემები.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა და მუშაობას შეუდგა რესპუბლიკური კომისია, რომელსაც უნდა შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროთა თვითეული საწარმოსათვის, რათა განაზარდოს შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის გამოშვება წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის გზით. ამ კომისიის მუშაობის პირველი ნაბიჯები მოწმობენ, რომ ამ საქმეში დიდი რეზერვებია.

შემდეგ ამს. ჩურკინი შეეხო იმ საკითხებს, თუ რამდენად არის დამოკიდებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულება და ორ-და სამეკლიან სამუშაოზე სამშენებლო ტექნიკის გადაყვანა რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ხუსტ რიტმულ მუშაობაზე. განვლილ ხუთწლედში და 1971 წელს ძირითადად რკინიგზამ წარმატებით შეასრულა მშენებლებისათვის ტვირთზიდვის სახელმწიფო დავალებანი. მაგრამ მარშან სამტრედიის განყოფილებამ თავი ვერ გაართვა დავალებას და ვერ გაუგზავნა მშენებლობებს ბევრი მასალა. წლის ცალკეულ პერიოდებში რკინიგზაზე იყო შეფერხება ზოგიერთი კარიერისა და საწარმოსათვის გაგზავნების მიწოდებაში. ამასთანავე სამშენებლო ორგანიზაციები, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები დამაკმაყოფილებლად არ ‘იყენებენ რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა ღონისძიებანი, რათა შეემცირებინთ სამეკლიანი ტრანსპორტის დატვირთვა და საავტომობილო ტრანსპორტზე გადაეტანათ ტვირთზიდვის ნაწილი, 1971 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეასრულა ტვირთზიდვის დაწესებული გეგმა ბევრი სამშენებლო ორგანიზაციის ხაზით, მაგრამ მშენებლობის სამინისტროს ობიექტების ‘ხაზით დავალება ვერ შესრულდა.

რესპუბლიკის სატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა აამოქმედონ გამოუყენებელი რეზერვები საშენ მასალათა, კონსტრუქციათა და ნაკეთობათა გადაზიდვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აღმოფხვრან შეფერხებანი ვაგონების მიწოდებასა და ავტომანქანების გამოყოფაში, შეამცირონ ტვირთის დანშნულებისამებრ მიტანის ვადები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ახალი ტექნიკის პრობლემებს და აღნიშნა, რომ მისი დანერგვის გეგმები მთლიანად რესპუბლიკის მშენებლობაში წლიდან წლამდე ვერ სრულდება. სამშენებლო ორგანიზაციათა და საამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ბევრი ხელმძღვანელი და სპეციალისტი საკმაოდ ორმად არ სწავლობს წარმოების სრულყოფის საკითხებს, არ მონაწილეობს რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობაში.

კაპიტალურ მშენებლობაში საგეგმო და ეკონომიური მაჩვენებლების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ზუსტი ორგანიზაცია. საშენ მასალათა წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილებანი ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება სრულად. ამაში მნიშვნელოვანი ბრალი მიუძღვით თვით მშენებლებს. მათ მთლიანად ვერ აითვისეს კაპიტალური დაბანდება, რომელიც ამ დარგის განვითარებისათვის იყო გათვალისწინებული განვლილ ხუთწლედში და 1971 წელს.

საშენ მასალათა ინდუსტრიას სჭირდება საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების, სახელმწიფო სამგეგმო კომიტეტისა და სამეურნეო ორგანოების კონკრეტული დახმარება. სამრეწველო საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბევრ მშენებლობაზე უხეშად არღვევენ ტექნიკურ პირობებსა და სამშენებლო ნორმებს, ნაჩქარევად ასრულებენ მოსაპირკეთებელ, სანტექნიკურ და ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს. ყოველწლიურად დაბალი შეფასება ეძლევა საექსპლოატაციოდ გადაცემულ მეტწილ შენობებსა და ნაგებობებს. სამშენო, შემკვეთი სამინისტროები და უწყებები, საქალაქო და რაიონული ალმასკომები არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს და არ მიმართავენ გადამწყვეტ ღონისძიებებს სამუშაოთა ხარისხის გასაუმჯობესებლად. მშენებლობის, სამეურნეო მშენებლობის სამინისტროებს და სხვა ორგანიზაციათა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები ხშირად გადასცემენ ხოლმე მშენებლობებს დაბალი ხარისხის ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, სადუქანო და სხვა ნაწარმს, რომლებიც საბოლოდ არ დაუმუშავებიათ ქარხნებში.

შაარშან დეკემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისადმი საავტორო ზედამხედველობის საკითხი, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მშენებლობის სამინისტროს მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა განხილვისას ბევრი ყურადღება დაუთმო მშენებლობებზე სამუშაოთა ხარისხის ძირეული გაუმჯობესების საკითხებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისაოვის, რომ უთუოდ შევასრულოთ დასახული ღონისძიებანი.

თუ არ აღმოვფხვრით ამ ნაკლს, არ გავშლით მწვავე, პრინციპულ ბრძოლას ხარისხისათვის, არ აღვკვეთავთ არსებულ ტენდენციებს — „ოღონდ ჩაბარდეს“, „ოღონდ დამთავრდეს“, — ვერ მივაღწევთ კაპიტალური მშენებლობის მაღალ დონეს. სწორად მოიქცა თბილისის საქალაქო აღმასკომი, როცა 1971 წელს შეწყვიტა მშენებლობით დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლების მიღება. უნდა დავაწესოთ ქმედითი კონტროლი ხარისხისადმი მშენებლობის ყველა სტადიაზე. საქმე ისე წარვმართოთ, რომ არც ერთ საცხოვრებელ სახლს არ იღებდეს სახელმწიფო კომისია, თუ ამ სახლში არ არის პროექტით გათვალისწინებული ლიფტი, დამთავრებული არ არის სანტექნიკური და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, არ არის გაბობა ან აღმოჩენილია სხვა სერიოზული ხარვეზები.

მშენებლობა, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, თქვა მომხსენებელმა, საგეგმო დავალებათა და ვალდებულებათა ბედს კადრები წყვეტენ. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად უკეთესი პირობების შექმნისათვის. ახლა რესპუბლიკის მშენებლობებზე მუშაობს თითქმის 133 ათასი კაცი. მათ შორის 113 ათასი სხვადასხვა პროფესიის მუშა. ესენი მეტწილად გამოცდილი მუშები არიან. ხალისით, კომკავშირული მგზნებარებით შრომობს მშენებლობებზე ახალგაზრდობა. მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ობიექტებს კომკავშირი უწევს შეფობას.

ოთხი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, ჩვენმა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანებმა ვაუმჯობესეს მშენებელთა ყოფა-ცხოვრება და მშენებლობებზე მათი შრომის პირობები. არსებითად ვაიზარდა ხელფასი, მუშათა სასადილოების ქსელი, ყოველწლიურად მშენებელთა და მემონტაჟეთა ასობით ოჯახი გადადის კეთილმოწყობილ ბინებში, მათი ბავშვები კი დადიან ახალ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში.

მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ნელა ხდება; უმაღლესი განსაკუთრებულ მქონე სპეციალისტთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ გვაკლია მთელ რიგ სპეციალობათა ინჟინრები.

უმაღლესი და საშუალო სპეციალურ განათლების სამინისტრომ, ინსტიტუტების ხელმძღვანელობამ უნდა დაუსუსტონ უმაღლეს სასწავლებლებში მშენებელ სპეციალისტთა მომზადების პროგრამა, რათა იგი უფრო სრულად ითვალისწინებდეს კადრებზე მოთხოვნილებას.

კვალიფიციურ მშენებელ მუშათა მომზადებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა. მშენებელ მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებასა და მათ ჭოსამზადებლად პროფტექნიკური სასწავლებლების შესაძლებლობას შორის ჯერ კიდევ არის გარკვეული შეუსაბამობა.

მშენებელ მუშას სპეციფიკურ პირობებში უხდება მუშაობა. მშენებელი დღეს ერთ მშენებლობაზეა, ხვალ — მეორეზე, ამასთან მუშაობს სხვადასხვა პირობებში. ბევრ შემთხვევაში ეს პირობები გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშენებელ მუშათა საჭიროებებს, და ეს გარდუვალად იწვევს დენადობას.

ამას წინათ შეამოწმეს მუშათა მომარაგების მდგომარეობა რესპუბლიკის ზოგიერთ სამშენებლო ობიექტზე. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სამნის ვითარება სრულიადაც არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, საჭიროებს გადაჭრით გაუჯობესებას.

საქართველოს პროფკავშირთა XV ყრილობაზე ამხანაგმა ვ. პ. მეკავანძემ უკვე თქვა, რომ ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან ერთად უნდა მოაგვაროონ ეს საქმე და უზრუნველყონ მშენებლობანი მუშები ცალკე კერძოებით. ერთ შემთხვევაში — ანა, მეგობარნო სამშენებლო მოედნებზე ცალკე ეკონომიკა, ორ-სამ ადამიანზე, სხვა შემთხვევებში, თუ სამშენებლო ობიექტი ღიდია და დაგეგმილია ბევრი მეგობარი, ეკონომიკა ცალკე, ეს ეკონომიკა ცალკე, ეს ეკონომიკა ცალკე. ეს — ცალკეული ეკონომიკა — ეს ეკონომიკა ცალკე, ეს ეკონომიკა ცალკე, ეს ეკონომიკა ცალკე. ეს

მშენებლობის ეფექტურობის ამაღლება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა

(დასასრული)

განაშენიანების გენერალური გეგმები დროულად არ მუშავდება. დღემდე არ არის შემუშავებული საქართველოს სსრ ზაფხულისპირა საკურორტო ზონის რაიონული დგეგმარების პროექტის ძირითადი დებულებებიც კი. კალაგ წარმოების სხვადასხვა საუწყებო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უსისტემო მშენებლობა. უარესი მდგომარეობაა სოფლების განაშენიანების პროექტების მხრივ: აფხაზეთის 504 სოფლიდან დაგეგმარების პროექტებით უზრუნველყოფილია მხოლოდ 14.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურო სისტემატურად იხილავს მშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებს. ჩვენი ღონისძიებანი, თქვა ამხ. კობახია, მიზნად ისახავენ მტკიცე საწარმოო და შრომის დისციპლინის დაცვას, კონტროლის გაძლიერებას გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, მშენებლებზე პარტიული გავლენის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას.

სკკპ XXIV ყრილობამ, თქვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამართველოს კომპეტენციური სამეულინანგარიშიანი ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. ბოლეშოანმა, დასახა ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის ერანდიოზული ამოცანები, სწრაფად და კარგად რომ ვაშენოთ, ამისათვის საჭიროა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მშენებრივ ობიექტებზე. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვა. გარკვეული ნაბიჯები გადადგეგით ამ მიმართულებით. კერძოდ, სამეულნეო ანგარიშზე გადაყვანილი კომპლექსური ბრიგადები ზელეენოგრადელი მშენებლის ზლობინის მეთოდის მიხედვით, ამის შედეგად ერთ-ერთ ობიექტზე — ცხრასართულიანი ბლოკის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე — მემონტაჟეთა კომპლექსურმა ბრიგადამ იკისრა ვალდებულება ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაცეს ძაწყისებულ ვადაზე ერთი თვით ადრე. სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში ბრიგადის წევრებმა პირობა დადეს ანაზღაურონ მათი გადაკეთება საკუთარი ხარჯებით.

ორატორმა ილაპარაკა ბრიგადის მიერ გაწეულ მუშაობახა და მის შედეგებზე. ახლა, თქვა მან, ზლობინის მეთოდით მუშაობს ჩვენი სამმართველოს მრავალი ბრიგადა. ისინი იბრძვიან ოთხ დღეში ხუთი დღის დავალებათა შესრულებისათვის.

გამოსულმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, და ყურადღება მიიპყრო იმას, რომ ხშირად მშენებლობებზე იღებენ უხარისხო ასაწყობ კონსტრუქციებს, საღებავებს, რკინისა და მუხა ხის ნაკეთობებს.

ეს, რასაკვირველია, არ გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, თქვა ამხ. ბოლეთიანმა. ჩვენ გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშენებლობებზე დაკისრებები, და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ვაშენოთ მკვიდრად, სწრაფად და კარგად.

აჭარის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, თქვა აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ, თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ეკონომიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა.

გასული ხუთწლეულის მანძილზე აჭარაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობაში. მიმდინარე ხუთწლედში, რომელმაც დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმები, კაპიტალური დაბანდება ამ დარგში კიდევ 43 პროცენტით გაიზრდება.

ამ პირობებში ჩვენ გვეკისრება დიდი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ სამშენებლო წარმოების ყველა რგოლის დაძაბულ, შეთანხმებულ მუშაობას, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმის ხელმძღვანელობის გაუჯობესებას.

ორატორმა ალეწმინის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო ის მუშაობა, რომელიც აჭარაში წარმოების მშენებლობის დარგში. უკვე ხუთწლედის მეორე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემთ ათასობით კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს და მრეწველობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელ რიგ ობიექტებს.

მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოუფხვრელად წარმოუდგენელია საგეგმო დავალებათა შესრულების წარმატება. ორატორმა მოიყვანა მშენებარე ობიექტებზე სამუშაოთა გაჭიანურების, დაბალ დონეზე მათი შესრულების, ხარშენ მასალათა მიწოდების ვადების დარღვევის, მათი განავლისა და დატაცების ფაქტები. ჩვენ, თქვა მან, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გადაჭრით შეეცვალოთ არსებული მდგომარეობა, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, მიეცეთ გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

რესპუბლიკის მშენებელთა მუშაობაში დიდ ნაკლოვანებებსა და სერიოზულ ხარვეზებზე ილაპარაკა პლენუმში საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ჩაშლაშვილმ. მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ორატორმა დასახელა შეუსაბამობა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდასა და სამშენებლო ინდუსტრიის ბაზების სიმძლავრესა და კადრების უზრუნველყოფას შორის. გარდა ამისა, მშენებლობებზე სუსტია სამუშაოთა ორგანიზაცია და დაბალია შრომის დისციპლინა, მცირეა შრომის ნაყოფიერება, მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს. ამიტომ სამინისტროს მთელ რიგ ორგანიზაციებში სერიოზული ჩამორჩენაა სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის ობიექტებისა და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის დაწყებული გეგმების შესრულებაში. სამინისტრო და მისი ტრესტები სისტემატურ და პრინციპულ ბრძოლას არ ეწევიან თვითეულ მშენებლობაზე ზუსტი და ორგანიზებული მუშაობისათვის. საკმარისად არ სწავლობენ და არ ამოქმედებენ წარმოების რეზერვებს, არ ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მთელიანად ვერ იყენებენ სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის დიდ შესაძლებლობებს. რეზერვებს შორის არის ტექნიკის უფრო სრულად გამოყენება, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის შემდგომი ამაღლება, მაგერიალური რესურსების გონივრული გამოყენება, მათი ხარჯვა პირდაპირი დანიშნულებით. შემდეგ ამხ. ვაშაკიძემ თქვა, რომ შეუწყნარებელია სამშენებლო ორგანიზაციათა გეგმებში რაიონის ხელმძღვანელთა მიერ ცვლილებების შეტანა, მათთვის გეგმით გაუთვალისწინებელი და ზეგეგმითი სამუშაოების დაკისრება.

მშენებლობის მინისტრის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ მუშაობის საკითხებს, მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. ამხ. ვაშაკიძემ გააკრიტიკა მომიჯნავე სამინისტროები და უწყებები, რომლებიც აფერხებენ მშენებლების, სამონტაჟო ორგანიზაციების, მომარაგების ორგანოების მუშაობას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ჯუსოევს. ოლქის პარტიული ორგანიზაციები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, თქვა მან, და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უფრო სრულად კითვისონ განუწყვეტელი ზრდი კაპიტალური დაბანდებანი. პარტიის საოლქო კომიტეტი ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე რეგულარულად იხილავს კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობას. განხორციელდა ღონისძიებანი მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელი კადრებით სამშენებლო ორგანიზაციათა დაკომპლექტებისათვის. სერიოზული ყურადღება ეთმობა წამყვან სპეციალისტთა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას, მშენებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუჯობესებას. ამის შედეგად წლითიწლობით იზრდება იმ სახსრების მოცულობა, რომლებსაც ითვისებენ კაპიტალური მშენებლობისათვის, მაგრამ ამ სახსრებს მთლიანად ვერ ითვისებენ. ვერ შესრულდა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, ჩამორჩენაა მიმდინარე წელსაც. ილაპარაკა რა ოლქის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობაზე, ამხ. ჯუსოევმა ამასთანავე აღნიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობის სახსრები დაქაქსულია ბევრ ორგანიზაციას შორის, არის ნაკლებ მძლავრი საწარმოო ბაზები, დროულად არ ამზადებენ და არ აძლევენ სამშენებლო ორგანიზაციებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობას სერიოზულად ბარკოლებს არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. შარშან რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს დაკარგეს მისთვის გამოყოფილი ხე-ტყის დაახლოებით 30 პროცენტი და ლითონის 30 პროცენტი.

სამხრეთ ოსეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოები გრძნობენ პასუხისმგებლობას კაპიტალური მშენებლობის გეგმების სისტემატური შეუსრულებლობისათვის და ახალი წლის დამდეგიდან ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შემდგომში არ დაუშვან გეგმების შეუსრულებლობა. მაგალითად, მშენებლობის სამინისტროსთან ერთად სერიოზულად გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო, მასთან შექმნილია სამი დამოუკიდებელი უბანი, შესაბამისად განაწილებულია კაპიტალური მშენებლობის მოცულობანი 1972 წლისათვის.

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ნ. შსაპაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ ასამშენებელი მშენებლობის კოლექტივი ასრულებს მცხრე ხუთწლიანი გეგმის შეახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ენგურჰესზე პირველი რიგის სამუშაოთა ძირითადი მიმართულებანია ბეტონის მეურნეობის კომპლექსის დასრულება, თაღოვანი კაშხალის ქვაბულის დამუშავების დამთავრება და თაღში დიდი ბეტონის ჩასხმა, აგრეთვე ოთხი ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ორატორმა ილაპარაკა სამუშაოთა დაჩქარებაზე, რაც ამ ხალო წლებში მშენებლობაზე მიღწეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დიდი დახმარების შედეგად, აღნიშნა, თუ რა რთულია ბეგა მდინარე ენგურზე მაღალი თაღოვანი კაშხალისა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

1972 წლის დამდეგს ენგურჰესის მრავალთასხიანმა კოლექტივმა იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ ვამად მშენებლობის 109 ბრიგადა, 15 უბანი ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სპეციალურ წოდებას, 170 ბრიგადა და 50 უბანი იბრძვის ამ წოდებისათვის. 2.815 კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელია. მათ შორის არის ბრიგადები, რომლებსაც მეთაურობენ სოციალისტური შრომის გმირი ო. ბლიაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია, აგრეთვე ო. ბობოსიძე, ბ. ფოფხაძე, რ. თვარაძე და მშენებლობის სხვა მოწინავეები.

ორატორმა ენგურჰესის კომუნისტების ათასიანი რაზმისა და მთელი კოლექტივის სახელით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ მშენებლები ძალღონეს, ენერგიას, გამოცდილებასა და ცოდნას არ დაიშურებენ, რათა შესასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში აგებულია ბევრი შენობა, რომლებიც გამოირჩევიან კარგი ხარისხით როგორც მხატვრულად, ისე ტექნიკურად, — თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ციციშვილმა. მათ შორის შეგიძლია დავასახელოთ სასტუმრო „ოვერი“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი, კინოსაკონცერტო დარბაზი, კოდისა და მეჯრიხევის მეფრინველეთის ფაბრიკები და სხვ. რომლებმაც ფართო აღიარება დაიმსახურეს. შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს მთელი რიგი ქალაქების, მათ შორის თბილისის გენერალური გეგმები. შეიქმნა საცხოვრებელი სახლების პროექტების სერიები, რომლებიც შეესაბამებიან ახალ ნორმებს, გაცილებით უფრო მოსახერხებელი, კომფორტულია და უზრუნველყოფენ ქალაქების სხვადასხვაგვარ განაშენიანებას, შემუშავებული და დამტკიცებულია აგრეთვე ექსპერიმენტული სოფლების პროექტები სასოფლო მშენებლობისათვის და საწარმოო ნაგებობათა ეკონომიური პროექტები. ეკვე ახლა დაპროექტება გაცილებით უსწრაფს მშენებლობის შესაძლებლობებს.

მიღწევებად ერთად ორატორმა მთავარი ყურადღება დაუთმო საპროექტო ორგანიზაციათა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. მან თქვა, რომ საჭიროა პროექტის ყველა სტადიის დამუშავება წარმოების ინკორპორირებულ თანამშრომლობით, აღნიშნა, რომ გაუმართლებელია დიდი შემინაწერებით გატაცება, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას, სითბოს დაკარგვას ზამორჩენით და ადამიანურ ხაფფსოლობთ. საჭიროა ხაზოგადოებრივ შენობათა პროექტების უფრო ეკონომიური გადაწყვეტანი, ხელი უნდა აიღოთ ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალების გაუმართლებელ გატაცებაზე.

ორატორმა თავის გამოსვლაში აღძრა თბილისის საბინაო მშენებლობის გაუჯობესების მეელი რიგი საკითხები. და თქვა, რომ ამ ქალაქში ბოლო წლების მანძილზე ასეთი მშენებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ორატორს საჭიროდ მიაჩნია თავი მოუყარონ ხასხრებს ერთი შემკვეთის — საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელში, საცხოვრებელ სახლებთან ერთად აშენდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი და კეთილმოწყობილი ტერიტორია, შეიქმნას დამთავრებული საცხოვრებელი მიკრორაიონები.

ორატორის აზრით, მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზებია მისი ინდუსტრიული ბაზის სუსტი განვითარება, კვალიფიციურ მუშათა კადრების მუდმივი ნაკლებობა, სამშენოს არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია. იგი დაწვრილებით შეეხო სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სასოფლო მშენებლობის საწარმოო ბაზების შექმნისა და გაფართოების შესახებ, თქვა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 5 მოძრავი მექანიზებული კოლონის კალატოზთა ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ბაღდასარიანმ, მოწონობს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც პარტია და მთავრობა უთმობენ სასოფლო მშენებლობის განვითარებას.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მისცეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

ორატორმა, კერძოდ, ილაპარაკა სამინისტროს № 2 ტრესტის მუშაობაზე. გასული წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით, თქვა მან. ჩვენი ტრესტი დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

საკრთო წარმატებებში, თქვა ორატორმა, ჩემს კომპლექსურ ბრიგადას თავისი შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვს. მე და ჩემი ბრიგადის წევრები დავიუფლეთ რამდენიმე მოძიჯვავ პროფესიას. შრომის დისციპლინამ, მისმა სწორმა ორგანიზაციამ, შემეწინა გამოცდილების განზოგადებამ და მოწინავე მშენებელთა გამოცდილების გამოყენებამ საშუალება მოგვცეს გვეკისრა გადიდებული ვალდებულებანი და გვებრძოლა მათი ვადამდე შესრულებისათვის. ჯერჯერობით დაბალია სამუშაოთა ხარისხის დონე ჩვენს ობიექტებზე, თქვა მან. ეს დიდ შემფოთებას იწვევს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბეტონის კონსტრუქციათა დამზადებას, მხა პროდუქციის კონტეინერებით მიწოდებას, მშენებარე ობიექტებისაკენ გზების მშენებლობას, შემკვეთის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ჩვენი მეკანიზებული კოლონა, თქვა დასასრულ ამბ. ბაღდასარიმ, ყოველ ღონეს იხმარს, რომ პირნათლად შეასრულოს რესპუბლიკის სოფლის მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანები.

გორის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, თქვა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბუზიშვილმა, კაპიტალური მშენებლობის დავალებათა შესრულებისათვის მუშაობასა ხელმძღვანელობს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით. ჩვენმა რაიონმა წარმატებით შეასრულა ამ დარგში განვლილი ხუთწლედის დავალებანი. ამენდა და სავეჭოსოტაციოდ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მთელი რიგი ობიექტები.

მაგრამ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მშენებლობის გაჭიანურების ფაქტები, ჯერ-ოვან დოზეზე არ დგას ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა მშენებლობებზე, საკმარისი არ არის მექანიზმები, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, არ არის პოლიგონი ბეტონის ხარშვაობისათვის.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა რაიონში სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი, ხაზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო, სასწავლო ობიექტების მშენებლობაზე. აღნიშნა, რომ ბევრ მთგაბაზე, რომლებსაც საარსები მნიშვნელობა აქვთ რაიონის ეკონომიკისათვის, ვერ სრულდება მშენებლობის გეგმები და გრაფიკები. ამის მიზეზია შრომის ცუდი ორგანიზაცია, მუშახელის და საშენი მასალების ნაკლებობა, შეფერხებანი ტრანსპორტის მუშაობაში.

მაგრამ, თქვა მან, ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ და კიდევაც ვიღონებთ, რომ გამოვლინებისთანავე გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი.

სამშენებლო წარმოების შემდგომი ხრულყოფის, კაპიტალური მშენებლობის საქმის გაუჯობებებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს მოუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამხანაგო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ბ. ბარსუკოვმა. მან თქვა, რომ მშენებელთა-სამონტაჟო სამუშაოთა 1971 წლის საერთო გეგმის განაღდებისას ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი — სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გეგმა — მხოლოდ 93,5 პროცენტით შესრულდა. გეგმა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხაზით შესრულდა მხოლოდ 85,6 პროცენტით, ამასთან ჯერჯერობით კვლავ დაძაბულია მდგომარეობა წესდგა.

გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ის არის, განაცხადა ორატორმა, რომ მშენებარე ობიექტები დაკომპლექტებული არ არის მოწყობილობით, არმატურით, კაბელის პროდუქციით, აპარატურით, აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდების ვადები არ შეესაბამება ობიექტების ამოქმედების ვადებს, გეგმაში ხშირად შეაქვთ არარეალური ობიექტები. უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ დროზე ვერ უზრუნველყოფენ სამონტაჟო ორგანიზაციებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, რომელიც არ არის კომპლექტური და ხშირად იცვლება ხოლმე.

ამავე დროს მშენებელთა და მემონტაჟეთა მუშაობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომლებიც თვით მათზე არის დამოკიდებული. ეს არის სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია, დაბალი მოშმესა და საწარმოო დისციპლინა, სუსტი კონტროლი, ნაკლები მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა მინეობილი საქმისათვის. საბინაო მშენებლობის ჩამორჩენა თბილისში, კერძოდ, ბევრად აიხსნება „საქსაბტაქმონტაჟის“ ტრუსტისა და მისი ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

ორატორმა წამოაყენა რესპუბლიკის მშენებელთა და მემონტაჟეთა მუშაობის გაუჯობესების წინადადებანი, ილაპარაკა ნაკისრ დიდ ვალდებულებებზე და აღუთქვა პლენუმის მონაწილეებს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ დიდი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მიმდინარე ხუთწლედში, თქვა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის [illegible] ბიდი და პასუხსაგები ამოცანები [illegible] სასოფლო მშენებლობა [illegible] ენა [illegible] სამინისტროს [illegible] ხუთწლედში შესრულებული სამშენებლო სამუშაოთა მოცულობას. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 2,5-ჯერ, შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გადიდდება 41 პროცენტით და სამენ მასალათა მრეწველობაში — 39 პროცენტით. მარტო მანქანებისა და მექანიზმების შეხაძინად და ტექნიკური ბაზის შესაქმნელად ახიანებულია 54 მილიონი მანეთი, ანუ სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

ამსანაგ ა. ჩურკინის მოხსენებაში დაწვრილებით იყო გაშუქებული როგორც მიღწევები, ისეც ნაკლოვანებანი რესპუბლიკის მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სისტემის სამშენებლო ორგანიზაციებისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების მუშაობაში უფრო მეტი ნაკლია, ვიდრე აღნიშნულია მოხსენებაში. ორატორმა დასახელა ობიექტები, რომლებიც ვადაზე არ გადაეცემიათ საექსპლოატაციოდ, რომელთა მშენებლობა ძლიერ გაჭიანურდა, მოიყვანა ფაქტები, როცა ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადაცემენ არასებითი სარვეზებით და სხვ. მაგალითად, ხაოჯარო სამუშაოთა გეგმა მიმდინარე წლის ოო თვეში, თქვა მან, მხოლოდ 73 პროცენტით შეესრულეთ, სამრეწველო მშენებლობის ნაკეთობათა რეალიზაციის გეგმა კი — 76 პროცენტით.

ორატორი დაწვრილებით შეეხო აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის დასახულ ღონისძიებებს და აღუთქვა პლენუმის მონაწილეებს, რომ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიტი ძირეულად გარდაქმნის და გაუჯობესებს თავის მუშაობას.

ამის გამო, თქვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. პეტრიაშვილმა, რომ თბილისში სისტემატურად არ სრულდება კაპიტალური მშენებლობის, მათ შორის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, არის ნაკლოვანებანი ხაშენ მასალათა ხარჯვის საქმეში, ქალაქის სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ თბილისმშენს № 15 ტრესტსაც.

მოხსენებაში სამართლიანად აღინიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენას განაპირობებს პარტიული ორგანიზაციების არასაკმარისი ორგანიზატორული და ოპერატიული მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დარგში. ეს სამართლიანი შენიშვნაა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ მდგომარეობისა, რომ 1971 წელს ჩვენმა კოლექტივმა ვერ შეძლო შესრულებინა საიჯარო სამუშაოთა, საცხოვრებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, რის შედეგადაც დეფიციტის მიზრომელებს დაადაკლეს 56 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი.

ტრესტის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა გასული წლის შედეგები, გაითვალისწინა ზემდგომი ორგანოების შენიშვნები და მითითებები და დასახა მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული გეგმები.

ორატორმა ალაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

ჩვენ, თქვა მან, გვესმის, რომ ჩვენს შეთანხმებულ მუშაობაზე, იმაზე, ვადაში ჩავაბარებთ თუ არა საცხოვრებელ ობიექტებს, დამოკიდებულია პარტიის მიერ შრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუჯობესებისათვის დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელება. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა პირნათლად შეასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ მშენებელთა წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანები.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ მოიხმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. სხირტლაძის ანფორმაცია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შუა პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა პრინციპიული ბოლშევიკური კრიტიკის ნიშნით ჩაიარა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაქცია გადაუწყვეტელი ამოცანების განხორციელებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

ფაქტები

● 3 აპრილს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში სტუმრად ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სვარან სინგი.

ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე სვარან სინგს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები.

(საკდესი).

● **დელეგი ჩაგიდა** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი. იგი ინდოეთში მეგობრულ ვიზიტად ამ დღეს დაპყოფს ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსის ადმირალ ს. მ. ნანდის მოწვევით.

● **ამერიკის აბოლეული ენერგია** კომისიამ გამოაცხადა, რომ გასული თვის შუა რიცხვებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელებული ატომური გამოცდის შედეგად შეიერთებული შტატების მეტწილ ტერიტორიაზე რადიაციის დონემ ნორმალურზე მაღლა აიწია.

● **როდეზიის რასისტული რეჟიმის** მეთაურმა სმიტმა სთხოვა ისრაელის ხელისუფალთ, დაეხმარონ იმაში, რომ როდეზიის თეთრკანიან მოსახლეობას ასწავლონ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება და ებრძოლ პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლა.

● **დასავლეთგერმანელმა მემარჯვენეებმა** კიდევ ერთი დანაშაულებრივი აქტი ჩაიდინეს. 2 აპრილს ოლიმპ ნეონაციისტურმა ელემენტებმა ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის ბიუროს ჰამბურგის ერთ-ერთ რაიონში — ჰარბურგში. ბიუროს შენობა თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

დამთავრდა ფინეთის კომპარტიის XVI ყრილობა

ჰელსინკი. 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ხოლოკოვი და ე. კიბა იუწყებიან: გუშინ აქ დამთავრდა ფინეთის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდა თითქმის 500 დელეგატი — 50 ათასი ფინელი კომუნისტის წარმომადგენელნი. ყრილობის 800 სტუმარს შორის იყვნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები 17 ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ა. ი. პელშეს მეთაურობით.

ყრილობის სამი დღის მუშაობის განმავლობაში დელეგატებმა განიხილეს ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, მოხსენება „ფინეთის კომპარტიის ერთიანობის განმტკიცებისა და მისი მასობრივი ბაზის გაფართოების შესახებ“ და პოლიტიკური დოკუმენტი „ფინეთის კომუნისტური პარტიის უახლოესი ამოცანები“.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარემ ა. საარინენმა.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის განმტკიცებისა და მისი მასობრივი ბაზის გაფართოების შესახებ“.

ყრილობამ მოიწონა პოლიტიკური დოკუმენტი „ფინეთის კომუნისტური პარტიის უახლოესი ამოცანები“ და მიიღო რეზოლუცია შინაპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე განსახილველ „ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის“.

ფინელ კომუნისტთა ყორულმა განსაზღვრა ფინეთის კომპარტიის კონკრეტული ამოცანები მსხვილ კაპიტალის წინააღმდეგ მშრომელთა ინტერესების დასაცავად ბრძოლისათვის მუშათა კლასის შეკავშირების საქმეში.

ყრილობამ აღნიშნა, რომ ფინეთის კომუნისტთა ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანები განუყოფელია, რომ ფინეთის კომპარტია კვლავ ინთერნაციონალურ ბრძოლებს აყენებს ყველა მოძმე პარტიასთან იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ასახულია კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის დოკუმენტებში. ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ ფინეთის კომპარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება. ყრილობამ გადაჭრით დაგმო ანტისაბჭოურობის ყოველგვარი გამოვლინება ფინეთში და დაადასტურა ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვოს მთავრობას, რომ იხმაროს ღონისძიებანი მეგობრავნენ წრეების ხრიკების წინააღმდეგ.

ყრილობამ დაადასტურა ფინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შესთავაზოს ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მუშათა და წვრილ მიწათმ

საქართველოს ქუთა-ბაქუი

ხანძრის დროს მამაცობისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 მარტის ბრძანებულებით ხანძრის დროს მამაცობისა და თავდადებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ირონდი ნესტორის-ძე დონდუა — № 2 სასადილოების ტრესტის საზოგადოებრივი კვების 73-ე გაერთიანების მთავარი ბუღალტერი, **ვახტანგ ნიკოლოზის-ძე ქოროლოლიშვილი** — თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის კოჯრის სტაციონარის სანიტარი, **დარია ვაზგენის ასული წიკლაური** — კოჯრის № 2 საბავშვო სახლის ძიძა, **ელიხო აბრამის ასული შავშიშვილი** — კოჯრის ბავშვთა ძველ-სახსრის ტუბსანატორიუმის „ალიონის“ მედიცინის და.

□ □

ეს მოხდა შუაღამისას მიმდინარე წლის თებერვალში. კოჯრის № 2 საბავშვო სახლის მორიგე ძიძამ დ. წიკლაურმა კვამლის სუნი იგრძნო. მეორე ოთახში შესასვლელი კარი რომ შეაღო, დაინახა, როგორ ედებოდა ცეცხლის ალი შენობის კედლებს. იგი არ დაიბნა, ქუჩაში გავარდა და იყვირა, „გვიშველეთო“.

მის ძახილზე მოვარდნენ № 2 სასადილოების ტრესტის საზოგადოებრივი კვების 73-ე გაერთიანების მთავარი ბუღალტერი ი. დონდუა, თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის კოჯრის სტაციონარის სანიტარი ვ. ქოროლიშვილი და კოჯრის ძველ-სახსრის ტუბსანატორიუმის „ალიონის“ მედიცინის და ე. შავშიშვილი, რომლებიც გაბედულად შეებნენ ცეცხლს. მათ დიდი ვაჟკაცობა, მამაცობა და თავდადება გამოიჩინეს და ძიძასთან ერთად ცეცხლმოდებული ხის შენობიდან გამოიყვანეს სამიდან შვიდ წლამდე ასაკის 62 ბავშვი. ბავშვები გადარჩნენ. (საქინფორმი).

ილეზენ ფერად გაღაცემებს

ონი. (საკ. კორ.). ძველი ტიპის ტელესადგურის ახლი შეცვლამ, რაც ამ ნახევარი წლის წინათ განხორციელდა, რაიონის მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა ისარგებლოს ფერადი ტელევიზიის პროგრამით.

წელს გათვალისწინებულია მთისკალთაზე ახალი ტელესადგურის დამონტაჟება, რომლის საშუალებითაც მოხდება მოსკოვის ტელევიზიის პროგრამის „რეტრანსლაცია.

ალექსანდრე ბუნეგა

□

უვლიან დათვის ბელებს

ბეგეჟკორი. (საკ. კორ.). წლევანდელმა მკაცრმა ზამთარმა ზიანი მიაყენა ჩვენს ფაუნას. ახლახან სოფელ სალხინოს მცხოვრები სოლომონ გულორდავა თავის შვილთან ერთად დათვის ბუნაგს წააწყდა. დედა დათვი მომკვდარიყო და ორი ბელი საცოდაოდ წრიალებდა.

მამა-შვილმა ბელები წამოიყვანეს და სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეებს გადასცეს მოსავლელად. ბელები თავს „შინაურულად“ გრძნობენ და ნორჩ მეგობრებს კარგად შეეთვისნენ.

გაეცანით, საინტერესოა

ინჟინერი იკვლევს კალენდარს

ვთქვათ, თქვენ იცით, რომ 20 იანვარს (ძველი სტილით) ოთხშაბათ დღეს, დაახლოებით 1880-86 წლებში ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა დ. ერისთავის პიესა „სამშობლო“. გაინტერესებთ ალადგინოთ ზუსტად, რომელ წელს მოხდა ეს. ამისათვის ნუ შეუდგებით წიგნების ქექვას ანდა ნაცნობების გამოკითხვას, უბრალოდ მოიშველიეთ ინჟინერ ვარლამ კალანდაძის მიერ შედგენილი უნივერსალური მუდმივი კალენდარი.

ჯერ 20 იანვარს გადაიყვანთ ახალ სტილზე, ეს იქნება 1 თებერვალი. შემდეგ თვის კალენდრების ცხრილში ნახავთ, რომ პირველი რიცხვი (ანუ 1 თებერვალი) ოთხშაბათზე მოდის მხოლოდ თვის იმ კალენდარში, რომელშიც პირველი კვირადღეა 5-ში. აღნიშნული წყებიდან კი თვის ეს კალენდარი მოდის მხოლოდ 1882 წელზე. აბრიგად, სწრაფად გიგიეთ თქვენთვის საძიებელი წელი.

ბუნებრივია, მკითხველი იკითხავს, კი, მაგრამ სად არის ეს კალენდარი, ან რომელ უნივერსალურ მუდმივ კალენდარზეა ლაპარაკი?...

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტრონიერი ვარლამ კალანდაძე ამ ექვსი წლის წინათ დაინტერესდა მუდმივი კალენდრით. მან თვალსაჩინო შრომა გასწია და მიაკვლია იმ საერთო კანონზომიერებას, რომელიც კალენდარს მეტად მარტივსა და გასაგებ ფორმას აძლევს. კალანდაძემ თავის კალენდარს უწოდა უნივერსალური, მუდმივი.

...მუდმივი კალენდრის შედგენის იდეას დაახლოებით 2500 წლის ისტორია აქვს, — ვკითხულობთ კალანდაძის მიერ შედგენილი კალენდრის „განმარტებითი ტექსტის“ შესავალში, რომლის ავტორია სახელოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი ა. შანიძე, — როგორც ა. ბუტკევიჩისა და მ. ზელიქსონის წიგნიდან ჩანს, მის შექმნა-შედგენაზე სხვადასხვა ქვეყნის მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მუშაობდა... ამჟამად მუდმივი კალენდარი და საკალენდრო ფორმულა მრავალია ცნობილი. ეს კალენდრები და საკალენდრო ფორმულები გვარიანია, მათი დანახარჯით შეიძლება მოინახოს, თუ რა დღე იყო ან იქნება ამა თუ იმ წლის რომელიმე თვის რომელსამე რიცხვში, მაგრამ მათი სარგებლობის წესი ერთობ რთულია და გასაგებად ძნელი, თანაც ბევრ დროს მოითხოვს.

კალანდაძის ხისტემის კალენდარი ამით ვამოირჩევა სხვებისაგან, რომ იგი მეტად მარტივია, მისი დახმარებით შეიძლება სწრაფად და ადვილად გავიგოთ რომელიც ენებავთ წლის კალენდარი (თვე, რიცხვი და დღე). 1825-დან 2000-მდე წლები აქ მოყვანილია უკლებლივ და ამ წლების საძიებო თვე, რიცხვი და დღე ერთი თვალის გადავლებით მოინახება.

ვ. კალანდაძემ კალენდარი გასაგებად მიიტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. აკადემიკოსმა ე. სარაძემ დადებითი შეფასება მისცა კალანდაძის ნაშრომს და მისი რეკომენდაციით იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ № 9 ნომერში, ჩანართის სახით. ამასთანავე კალენდრის რუსულ ვარიანტს გაეცნო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის თანამშრომელი, ჟურნალ „ზემლია ი ვსელენნაიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მეცნიერებათა დოქტორი ი. კოვალი და სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა ჟურნალ „ზემლია ი ვსელენნაიას“ კალენდრის დაბეჭდვის შესახებ.

ამჟამად ვ. კალანდაძის კალენდრის როგორც რუსულ, ისე ქართულ ვარიანტს ბეჭდავს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. მკითხველი მას მალე მიიღებს.

ახლა გავიცნოთ, რას წარმოადგენს ეს კალენდარი, რაში მდგომარეობს მისი უნივერსალობა და როგორია მისი სარგებლობის წესი.

თუ რამდენად მარტივია კალენდრით სარგებლობის წესი, მოვიყვანოთ თვით კალენდრის განმარტებაში ნაჩვენები მაგალითი. ვთქვათ, გვინდა გავიგოთ 1973 წლის კალენდარი ახალი სტილის მიხედვით. ამისათვის წლების ცხრილში მოვძებნით 1973 წელს. მის გასწვრივ იმავე მწკრივში ვნახულობთ, რომ აღებული წლის თვეების პირველი კვირადღეებია შემდეგი რიცხვები: 7, 4, 4, 1, 6, 3, 1, 5, 2, 7, 4, 2. ამ რიცხვების მიხედვით ცხრილიდან „თვის კალენდარი პირველი კვირადღის“ მიხედვით გავიგებთ 1973 წლის კალენდარს, ე. ი. წლის ყველა თვის რიცხვს შესაბამისი დღით.

კალანდაძის კალენდრის განმარტებაში ნაჩვენებია, თუ როგორ ისარგებლოს ადამიანმა, რომ წელთაღრიცხვის ძველი სტილიდან (იულიუსის კალენდარი) გადაიყვანოს ახალ სტილზე (გრიგოლის კალენდარი), რომელიც შემოღებულ იქნა 1582 წლის 15 ოქტომბერს) და, პირიქით, ახალი სტილიდან ძველ სტილზე. აქვე განმარტებაში მოცემულია, თუ 1582 წლის 15 ოქტომბრიდან 1700 წლის 29 თებერვლამდე და ა. შ. 2200 წლის 29 თებერვლამდე ძველი სტილიდან ახალზე გადმოსაყვანად აღებულ თარიღს. რამდენი რიცხვი ემატება და, პირიქით, აკლდება სტილიდან ძველზე გადასაყვანად აღებულ თარიღს რამდენი დღე აკლდება.

მოვიყვანოთ კიდევ მაგალითი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძვ. სტ.). გამოვარკვიოთ რა დღე იყო მაშინ.

ჯერ 27 ოქტომბერს ძვ. სტილიდან გადავიყვანთ ახალზე, რისთვისაც მას ემატება 12 დღე, მიგიღებთ 8 ნოემბერს. შემდეგ წლების ცხრილში მოვძებნით 1837 წელს, რომლის გასწვრივ იმავე მწკრივში ვნახავთ, რომ ნოემბრის პირველი კვირადღე 5-ში ყოფილა. ამის მიხედვით ჩავხედავთ თვის კალენდარს (5 ტაბლოს), გავიგებთ, რომ 1837 წლის 8 ნოემბერს (ძვ. სტ. კი 27 ოქტომბერს) ოთხშაბათი ყოფილა.

კალენდრის შანიძისეულ რედაქციის ტექსტში კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია მოყვანილი.

ბუღა თურქმა თბილისი გადაწვა 853 წლის 5 აგვისტოს, ამასთან ამოწყიტა 50.000 მცხოვრები. გავიგოთ, რა დღეს მოხდა ეს საშინელი ამბავი.

ცნობილია, რომ ყოველ 28 წლის შემდეგ მეორდება წლის მთლიანი კალენდარი, ყოველი დღე თავისი რიცხვით. ამიტომ საძიებელი წელი რომ გავიგოთ, იგი უნდა გავყოთ 28-ზე. მაშასადამე, 853 გავყოთ 28-ზე, ნაშთი 13. მას მოვძებნით 28-ზე გაყოფის ნაშთის ცხრილის ან. ნ. ა.-ის სვეტში. ამ ნაშთის გასწვრივ იმავე მწკრივში ვნახავთ, რომ პირველი კვირადღეებია აღნიშნულ 853 წელს მოდიოდა 6-ში. ცხადია, აგვისტოს 5-ში შაბათი ყოფილა, რომელიც სავსებით ეთანხმება ატენის ტაძრის წარწერის ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ ეს მოხდა შაბათს, 5 აგვისტოს, 73 ქორონიკონსაო (73 ქორონიკონი მე-13 მოქიქვის მიხედვით უდრის 853 წელს: 780+73=853) და ა. შ.

კალანდაძის კალენდარი არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრეებისთვისაც მეტად სასურველი და სასარგებლო ცნობათა წიგნაკი იქნება.

ლარისა ხუბულური.

• • •

სუბპოზა: კალენდრის გარეკანი, რომელზეც აღბეჭდილია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის კ. გუბულის ბედურობა „პეტრე იბერი“.

ლედაქალაქის 26 კოშმარიან ზიზელობინ რაიონის საშუალო სკოლებს მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეებთან.

არდადეგების დღეებში რაიონის პიონერთა სახლმა მოაწყო ფესტივალი, რომელიც სხვ შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალზე მოიწვიეს მეგობრები მოსკოვიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, მოლდავეთიდან და ესტონეთიდან.

ქართველმა მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით წარმოადგინეს თხუთმეტი რესპუბლიკა, გაიცნეს ისინი ზეიმის მონაწილეებს. მერე სცენაზე ავიდნენ და მეგობრების ეროვნული სიმღერები და ცეკვები შესასრულეს.

ბოლოს სიტყვა მიეცათ ტუმრებს, რომლებმაც თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ფესტივალის მონაწილეებს.

ტუმრებმა თბილისელ თანატოლებთან გაატარეს საგაზაფხულო არდადეგები. მასპინძლებმა გაიცნეს მათ თბილისის ადგილები.

ბავშვებმა გაიცნეს მათ თბილისის ადგილები.

ხელოვნების ოსტატებმა ... ბავშვებს ... ლიბ ლირსშესანიშნავი ადგილები.

ა. კავკასიძე.

ხელოვნებაში: მეგობრობის ფესტივალის მონაწილე მოსწავლეები.

ავტორის ფოტო.

ა. ვერულია

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1922 წლიდან, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი, პერსონალური პენსიონერი **ალექსანდრე ალექსის-ძე ვერულია.**

ა. ვერულია დაიბადა 1899 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგეიეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მან ცხოვრების რთული და შრომით აღსავსე გზა განვლო, იყო შავ მუშად მცხეთის რკინიგზის სადგურზე. 1922 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ხოლო 1936 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურა და დაინიშნა ქუთაისის კომუნისტური უნივერსიტეტის დირექტორად. შემდეგ მუშაობდა საქართველოს პარტიული გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ. 1939 წელს იყო თბილისის საღამოს გაზეთის — „მუშის“ პასუხისმგებელი რედაქტორი. არჩეულ იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად.

1940-1946 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ, 1946-1949 წლებში რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის, ხოლო 1949-1963 წლებში უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ. 1963 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტად.

ა. ვერულია ავტორი იყო არა ერთი მეცნიერული შრომისა, რომელთაგან აღსანიშნავია 1970 წელს გამოცემული მონოგრაფია „საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან“. ა. ვერულიას ნაყოფიერი შრომა აღნიშნული იყო მთავრობის მრავალი ჯილდოთი.

ვინც ალექსანდრე ვერულიას იცნობდა და მასთან ერთად მუშაობდა, ვერასოდეს დაიივიწყებს ამ უშფოთველ, მოკრძალებულ, კეთილსინდისიერ და თავმდაბალ ადამიანს, კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საუშაო სპეციალური განათლების საინსტიტუტო; თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, პარტბიურო, სკკპ ისტორიის კათედრა.

ეროსწავლეთა ევროპრობის ფესტივალი

ბავშვებმა გაიცნეს მათ თბილისის ადგილები.

ხელოვნებაში: მეგობრობის ფესტივალის მონაწილე მოსწავლეები.

ავტორის ფოტო.

ახალ ავიასაფეხურ

თბილისი-ყაზანი-პერმი

ათასობით უჩინარი ძაფით არის დაკავშირებული საქართველოს დედაქალაქი თვალუწვდენი საბჭოთის ყველა კუთხესთან. მუშაობა და დასვენება, მოგზაურობა და კულტურული ურთიერთობა, ნათესავებთან და მეგობრებთან ჩასვლა — ყოველივე ეს მოითხოვს ყველა სახეობის სატრანსპორტო მომსახურების განუწყვეტელ გაფართოებას. მშრომელთა უფრო სრული მომსახურებისათვის ზრუნვით, რაც ნაკარნახევია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, რომელმაც გახსნა საპაერო მიმოსვლა ახალი ავიახაზით: თბილისი-ყაზან-პერმი.

პირველი რეგულარული რეისი ამ მარშრუტით მოეწყო 1 აპრილს. ახალი ავიატრასის გახსნის საპატივო ამოცანა შეასრულა საქართველოს საშოქალაქო ავიაციის სამმართველოს ტუ-124 თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რომელშიც შედიოდნენ: ხომალდის მეთაური ვ. რეზნიკოვი, მეორე პილოტი გ. საბაკაძე, შტურმანი ვ. ბაკუნინი, ბორტმექანიკოსი ე. ტიხაევი, რადისტი გ. ბაგინსკი. ეკიპაჟთან ერთად ტრასის ახათვისებლად გაფრინდნენ უფროსი პილოტ-ინსპექტორი ა. ბიტაძე, თბილისის გაერთიანებული საწარმოს უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში გ. კალანდარიშვილი, თბილისის აეროპორტის მეზავრთა გადაყვანისა და კომერციული ექსპლოატაციის უფროსის მოადგილე ლ. მერტიჩიანი. მგზავრებს ემსახურებოდნენ ბორტგამყოლი ლ. ზკირიდკო და ბორტგამყოლთა სამსახურის ინსტრუქტორი ე. ტარაკანოვა.

თვითმფრინავში რამდენიმე ინტერვიუ აიღო საქინფორმის კორესპონდენტმა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მეზავრთა გადაყვანის სამსახურის უფროსმა გ. ჭითალაძემ თქვა, რომ ახალმა ავიახაზმა, რომლითაც თვითმფრინავები ივლიან კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით — თბილისი დაკავშირა ვოლგისპირეთისა და კამისპირეთის მსხვილ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრებთან. თუ წინათ თბილისიდან ყაზანსა და პერმში უნდა გვეფრინა ორი-სამი გადაჯდომით, ახლა 2 საათსა და 20 წუთში შეიძლება ჩასვლა თათრეთის დედაქალაქამდე და 4 საათსა და 35 წუთში — ჩრდილოეთ ურალამდე.

ახალი რეისის პირველმა ათობით მგზავრმა ღირსეულად შეაფასა მისი უპირატესობანი. ვლადიმერ ივანეკოვი, ქალაქ პერმის კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი, ბრუნდება შინ თბილისში გამართული ქვეყნის კომკავშირის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნების სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარიდან.

პენსიონერი ა. მოტკოვი, მისი მეუღლე, შვილიშვილთან საშასთან ერთად სტუმრად იყვნენ ვაეიშვილთან — სამხედრო მოსამსახურესთან, ახლა კი ბრუნდებიან ყაზანში.

თბილისის ქარხანა „ელექტროლიტის“ მედენთავი ვ. ყვანი მივლენებით მიფრინავს ქალაქ ვოლგსკში, ყაზანიდან ვოლგსკამდე სულ ახლოსაა.

სომხეთის მცხოვრები მჭსოველი ა. ვოლინინა შვებულებით მიემგზავრება დედასთან, რომელიც ჩისტოპოლში ცხოვრობს. წინათ მიფრინავდა კუიბიშევის გავლით, ეს ბევრად უფრო დამღლელი და უფრო ძვირია, ვიდრე ყაზანის გავლით.

ახე რომ, ყველას თავისი გადაუდებელი საქმე, დროის ეკონომიისთვის თავისი საზრუნავი აქვს, . და ყველა ერთი აზრისაა: ახალი რეისი, უეჭველია, მოსახერხებელი და ხელსაყრელი!

თბილისი-პერმი-თბილისი.

(საქინფორმის კორ.).

ლედაქალაქის 26 კოშმარიან ზიზელობინ რაიონის საშუალო სკოლებს მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეებთან.

მცირე უესვენეგა დიდ ტურნირზე

ხუთ დღეს გრძელდებოდა თბილისში უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ხუთი კოლექტივის ასპარეზობა. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. დანარჩენ ხუთ გუნდს პაექრობა ჰქონდა ვოლგოგრადში. ცხადდება მეცირე შეხვედრება, მალე ათთვე გუნდი თავს მოიყრის კიევში და აქ დაამთავრებენ პირველ წრეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ჩემპიონმა. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა და აი მეზღვაურებმა უკანასკნელი მატჩიც კიევის „დინამოსთან“ მოიგეს 5:3. რვიდან რვა ქულა, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე შედეგია და მეტყველებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელთა ჩინებულ სპორტულ ფორმაზე. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისის დინამოელებმა. ეს კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდულია, ამასთანავე პერსპექტიულიც. ამაზე მეტყველებს ტურნირის შედეგები. თბილისელებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს ჩემპიონთან და ისიც მინიმალური ანგარიშით, დანარჩენები კი მოიგეს. უკანასკნელი შეხვედრა თბილისელებს ჰქონდათ ლენინგრადის „ბალტიკასთან“, გაიმარჯვეს 5:4 და 6 ქულით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი უჭირავთ.



ფრე სტარტზე

„**დინამო**“ (თბილისი) — „**ლოკომოტივი**“ (მოსკოვი) 0:0. თბილისი. 4 აპრილი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

„**დინამო**“ — ოგოია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ბინჩაგაშვილი (ესტეველაძე), პეტრიაშვილი, გავაშელი, მეკელდოშვილი, გუცაევი, ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

„**ლოკომოტივი**“ — მილეხი, ვაშჩენკოვი, გონჩაროვი, კლიკოვი, პერეგონცევი, ფუოკალოვი, ჩესნოკოვი, შელუდკო, დავიდოვი, კოზლოვი, სპირიდონოვი.

ფეხბურთის ახალი სეზონის გახსნას და მასთან ერთად ჩემპიონატის ალამის აღმართვას ყოველწლივ სპორტული ზეიმის სახე აქვს. ასე იყო გუშინაც თბილისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე. მოედანზე იყვნენ უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები, შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის „დინამო“ და უძლიერესთა რიგებში დაბრუნებული მოსკოვის „ლოკომოტივი“.

მეტოქეებს მიესალმა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე. კაპიტნებმა ალამი აღმართეს, XXXIV ჩემპიონატი გახსნილად გამოცხადდა.

რამდენიმე დღის წინათ, სწორედ სეზონის გახსნის წინ „დინამომ“ დიდი დანაკლისი განიცადა, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ახალგაზრდა, დიდი მომავლის მქონე მეკარე თ. სტეფანია. ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა პატივის ცემა მის ხსოვნას წუთიერი დუმილით.

მოკლედ მატჩის მსვლელობაზე რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეებს ძალზე სწადდათ სტარტზე ორი ქულის მოპოვება და ამისათვის ბევრსაც ეცადნენ, მაგრამ ვერ იქნა და გოლი ვერ ვიხილეთ. ტრავმის შედეგად პირველ ტაიმშივე გამოითმა ბრძოლას ხინჩაგაშვილი, მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში (გარდა ხურცილავასი) სტუმრები სჯობნიდნენ დინამოელებს, ამასთანავე სისწრაფეც უკეთესი ჰქონდათ. და მაინც თუ შესაძლებლობათა მიხედვით განვსაზღვრავთ ამ სპორტულ დაკას, სასწორი თბილისელთა მხარეზე იყო.

ძირითად ბრძოლას მაყურებლები მეორე ტაიმში მოელოდნენ. და მართლაც, სწორედ ამ 45 წუთში ენახეთ კარის აღების არა ერთი რეალური შესაძლებლობა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, საბოლოოდ ფრე — 0:0.

ვ. გაბელია.

მატჩები და შედეგები

გუშინ, გარდა თბილისისა, სსრ კავშირის XXXIV ჩემპიონატის ალამი ფეხბურთში აღმართეს კიდევ ექვს ქალაქში.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები — კიევის დინამოელები ვოროშილოვგრადს ეწევიენენ და აქ მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „ზარიასთან“. შეხვედრის შედეგია 3:0 ვოროშილოვგრადელთა სასარგებლოდ.

ბაკოს „ნეფტჩი“ მასპინძლობდა მინსკის დინამოელებს. წარმატება ბაქოელებს ხვდათ 1:0.

ალმა-ათაში ერთმანეთს შეხვდნენ „კაირატი“ და მოსკოვის „ტორპედო“, ფრე — 1:1.

მატჩი ლვოვში ლენინგრადის „ზენიტისა“ და ლვოვის „კარპატის“ გუნდებს შორის დამთავრდა „ზენიტის“ სასარგებლოდ 1:0.

დონის როსტოვში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 1:0.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ საკუთარ მოედანზე შეხვედრა ჰქონდა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან და გაიმარჯვა 2:1.

ჩემპიონი რიგაში გაემგზავრა

10 მაისს რიგაში დაიწყება მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი ლატვიის დედაქალაქში გაემგზავრა.

— მატჩისათვის მომზადების დარჩენილი დრო მინდა რიგაში დავყო, აქვე გავიარო აკლიმატიზაციას — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს გამგზავრების წინ ნ. გაფრინდაშვილმა. კუშნირის სახით მყავს ძლიერი მოწინააღმდეგე. ის ფაქტი, რომ მან მესამეჯერ მოიპოვა მსოფლიოს პირველობაზე მატჩის უფლება, ბევრს მეტყველებს. თუ გადავხედავთ მის გამოსვლებს ამ ბოლო წლებში, შევნიშნავთ, რომ ა. კუშნირმა ყველგან საპრიზო ადგილები დაიკავა. ეს ცხადყოფს მის საბრძოლო განწყობილებას, დიდ საჭადრაკო ძალას. „მისათვის, რომ შევინარჩუნო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, პირველ რიგში საჭიროა კარგი სპორტული ფორმა. ახლა მიძღვნილდება ამ ფორმაზე ლაპარაკი, მაგრამ ვეცდები გავამართლო გულშემატკივართა იმედები.

რამდენიმე სტრიქონით

● ვლადიმერელი 20 წლის სტუდენტი ნ. ანდრიანოვი ჩვენი ქვეყნის ამპოლუტური ჩემპიონი გახდა სპორტულ ტანვარჯიშში კიევში გამართულ პირველობაზე. მან 113,25 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ვორონინი (111,55 ქულა), მესამეზე — ვ. კლიმენკო (110,45 ქულა). ქალთა შორის ასეთივე ტიტული დაიმსახურა, ლ. ტურიშჩევამ (გროზნო, 76,2 ქულა).

● **მოსკოვის** „ტორპედოს“ ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა გუნდმა მეორეჯერ დაიკავა პირველი ადგილი შვეიცარიის ქალაქ ბელინცონის ტურნირში. ტორპედოელებმა ამჯერად ფინალში დაამარცხეს მილანის „ინტერნაციონალე“ 1:0.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამინდი

დღეს, 5 აპრილს **დასავლეთ საქართველოს** ხანაპირო რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, რაიონის ზეობაში იქრილებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 13-18, ღამით 2-6 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 1-6 გრადუსი სითბო, ღამით 3-8 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ბარში დღისით იქნება 9-14 გრადუსი სითბო, ღამით 3 გრადუსი ყინვა-2 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, ღამით 8-12 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია უნალექო ამინდი. ტემპერატურა დღისით 12-14 გრადუსი სითბო, ღამით ნული-2 გრადუსი სითბო.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც პატივი დამდო და მომილოცა ჩემი საიუბილეო თარიღი.

მაყვალა მრევლიშვილი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11, № 1 აუდიტორია)

19 აპრილს, დღის 2 საათზე **გრიგოლ ლონგინოზის-ძე ფერეთელი** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ვაშლის ქეცისადმი venturia inaeqvalis (cooke) wint. გამძლე ჯიშთა გამოვლინება საქართველოში და გამძლეობის ანატომიური და ბიოქიმიური მაჩვენებლები“.**

19 აპრილს, 4 საათზე **ანგელინა ანდრეოს ასული ნიკოლაიშვილი** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ფარიანები დაფნაზე და მათი ენტომოფაგები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

20 აპრილს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (მახარაძის ქ. 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **რუსან ვასანინის-ძე შამილოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ნავთობმომპოვებელ საწარმოებში შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფა საწარმოო პროცესების ტელემექანიზაციის, ავტომატიზაციისა და სამეურნეო რეფორმის პირობებში“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბიბლიოთეკაში.

ტელევიზია

5 აპრილი

პირველი პროგრამით

11.10 — მხატვრული ფილმი — „გზა რუბენცალისაკენ“, 12.40 — „კომუნისტი და დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — კინონარკვევი — „ტუვა — დროთა გზაჯვარედინი“, 14.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) გადმოცემა ვილნიუსიდან, 17.05 — ექიმთა დასახმარებლად, 17.50 — ცეროდენას ეკრანი — „გულადი ბაჭია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ფილოსოფიის შემსწავლელთათვის, 18.30 — ბავშვებისათვის — „იყო და არა იყო რა“, 18.45 — მოსწავლეთათვის კონცერტი, 19.10 — განცხადებები, 19.15 — „სსრკ-50“, „საბჭოთა კავშირი — სოციალისტური ერების აყვავების ბურჯი“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 20.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „პალიტრა“, 21.35 — კინონარკვევი — „მისი